მაია კიკნაველიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

მულტიკულტურალიზმის ცნება, არსი და პრობლემები

ისტორიის მანძლზე, ხალხთა გადაადგილებამ შექმნა პლურალისტური საზოგადოებები. მე-20 საუკუნეში შეიცვალა გლობალურ ძალთა ბალანსი, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გამოჩნდა ორი სუპერ ძალა და ის იმპერიები, რომლებიც გასულ საუკუნეში კოლონიების მთელ ჩამონათვალს ფლობდნენ, რეალური ძალაუფლების მიღმა აღმოჩნდნენ. პოსტკოლონიალური პერიოდის მთავარი მახასაითებელი ნიშანი კი გახდა მიგრაციის გაზრდა ევროპულ ქვეყნებში [1, 49-69].

მულტიკულტურალიზმი წინა და ახლანდელი იმიგრაციის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ომის შემდგომი მდგომარეობა არ იყო მთლად სახარბიელო სამუშაო ძალის მისაზიდად, იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელსაც მიგრანტები ტოვებდნენ ევროპა ნამდვილი სამოთხე იყო. მაგალითად, 1970-იანი წლების განმავლობაში, ვიეტნამელი ლტოლვილების მასიური იმიგრაცია ევროპაში კამბოჯის ანექსიას და კომუნისტი ქიმერების რეჟიმის დამარცხებას უკავშირდება. ლტოლვილების უმეტესი ნაწილი საფრანგეთში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში ჩავიდა. სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა მულტიკულტურალიზმის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ეს არის კომპლექსური საკითხი, რომელსაც ბევრი განსხვავებული ასპექტი გააჩნია.

ტერმინი „მულტიკულტურალიზმი" გამოიყენება არა მხოლოდ კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების აღსაწერად, არამედ ამავდროლად იგი ეხება პოლიტიკასაც, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ მულტიკულტურული საზოგადოებები უძველესია და კულტურული განსხვავებები ყოველთვის არსებობდა, ნებისმიერ ისტორიულ თემში, მულტიკლტურალიზმი, როგორც იდეოლოგია საკმაოდ ახალია. პოლიტიკური ინსტრუმენტის სახით იგი 1970 ნელს კანადაში განვითარდა [2], როგორც პრაგმატული პასუხი

იქ შექმნილ მდგომარეობაზე. თავდაპირველად მისი მიზანი ფრანგულ-კანადურ საზოგადოებებში, უმეტესად კვებეკში შექმნილი რთული ვითარების მართვა და გამოსწორება იყო, მოგვიანებით კი ეს პოლიტიკა ჩასული მიგრანტების ჯგუფებზეც გავრცელდა და მთლიანად მოიცვა ქვეყანა.

მოგვიანებით სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის გამოყენება. პირველი ამ რიგებში აშშ, გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია იდგნენ. ქვეყნებმა, სადაც ეთნიკურად და კულტურულად უფრო მრავალფეროვანი საზოგადოებები იყო, უფრო ადვილად მოირგეს ეს პოლიტიკა, ვიდრე ნაკლებად პლურალურმა საზოგადოებებმა. მულტიკულტურალიზმის მიღებით, პოლიტიკურმა მემარცხენეებმა ფაქტიურად გააკეთეს „კულტურული შემოტრიალება", რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „პოლიტიკების კულტურალიზაციას", რომელიც ფილოსოფოს სლავოი ჟიჟეკის თანახმად, ბოლო რამდენიმე დეკადას განსაზღვრავს [3]. შედეგად კი კულტურა, რელიგიის ჩათვლით უფრო მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური განვითარების უკეთ გასაგებად.

კანადელი ფილოსოფოსები უილი კიმლიკა და ჩარლზ ტეილორი, რომელთაც შემოგვთავაზეს კომპრომისული პოზიცია კომუნიტარულ და ლიბერალურ ხედვებს შორის, მულტიკულტურალიზმის ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსები არიან. მათმა კვლევებმა ცხადყო, რომ მულტიკულტურალიზმს ხშირ შემთხვევაში თუ გადამწყვეტი არა, ცენტრალური ადგილი მაინც უკავაია შემუშავებული პოლიტიკების წარმატებით განხორციელების პროცესში. მათი აზრით, მულტიკულტურალიზმის კვლევის საფუძვლები, ჯერ კიდევ, პლურალური საზოგადოებების ჩამოყალიბების დროს იკვეთება [4]. უფრო მეტიც, გეოგრაფ ფურნივალის აზრით [5], ტიპიური პლურალური საზოგადოებები კოლონიზატორების მიერ იმართებოდა წლების წინ. ასეთი შეიძლება ყოფილიყო ბრიტანული ბირმა, მალაიზია, იამაიკა ან მავრიტუსი.

სოციალური ურთიერთგაგება პლურალისტურ საზოგადოებაში კოლონიური მმართველი ძალის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული [6]. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, გამომდინარე იქედან, რომ კოლონიზატორები წარმოადგენდნენ დომინანტებს, ასეთ საზოგადოებაში ის კულტურული თუ ეთნიკური ჯგუფი წინაურდებოდა, რომელთაც კოლონიზატორებისთვის უფრო სტრატეგიული

და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც კოლონიების დაშლის შემდეგ გაჩნდა პრობლემები, რომელიც პლურალური საზოგადოების მართვის გონივრულ დაგეგმვას მოითხოვდა. უკვე ამ დროიდან საჭირო გახდა ანთროპოლოგების ანალიზი, რამდენადაც ყველა პლურალური საზოგადოება იდენტური არ იყო და მოითხოვდა ინდივიდუალურ კვლევას. კერძოდ, რაზე იყო ეს მრავალფეროვნება დაფუძნებული: კანის ფერზე, კულტურაზე, რელიგიაზე თუ ა.შ. მაგალითად, იამაიკა უფრო კლასებისა და ფერის მიხედვით იყო დაყოფილი, ვიდრე ეთნიკური ხაზით.

თანამედროვე გაგებით მულტიკულტურალიზმი ასახავს კოლექტიურ საზოგადოებებს, რომლებიც მრავალ-ეთნიკურობითა და მრავალ-სარწმუნოებით ხასიათდებიან და განსხვავებული წარმოშობის ადამიანთა ჯგუფებისგან შედგებიან. კულტურული მრავალფეროვნება დიდი ხანია თანამედროვე საზოგადობაში მნიშვნელოვანად არის წარმოდგენილი. თანამედროვე პოლიტიკის თეორეტიკოსები მულტიკულტურალიზმს, როგორც ფენომენს აფასებენ, სხვადასხვა კულტურის თანაარსებობას ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში [7].

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკური და წმინდა აღწერილობითი მნიშვნელობის განმარტება საკმაოდ რთულია, რამდენადაც არ არსებობს უნივერსალური განსაზღვრება. თუმცა, საერთო შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხება ერთდროულად ეთნიკურად და კულტურულად კომპლექსურ საზოგადოებებს და პოლიტიკებს, რომელთა მიზანიც ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანასწორობის მიღწევაა.

ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში მულტიკულტურალიზმის პირველი გამოჩენა 1957 წელს შვეიცარიაში გამოქვეყნებულ სტატიას უკავშირდება. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე არაერთი ვერსია არსებობს მულტიკულტურალიზმის შესახებ, რომლებიც სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. მაგალითად, სტიუარ ჰოლი გამოყოფს ექვს მულტიკულტურალიზმს: კონსერვატიული, ლიბერალური, პლურალისტური, კომერციული, კორპორაციული და კრიტიკული ანუ „რევოლუციური“ [8, 72-80]. თითოეული მათგანის მთავარი პრობლემისადმი მიდგომა განსხვავებულია, კერძოდ კი, განსხვავებული საზოგადოებების სოციალური სოლიდარობისკენ მისწრაფების ხელშეწყობა. ვერტოვეკი, ასევე განასხვავებს რვა სახის მულტიკულტურალიზმს [9], ხოლო დელანტმა ამ ფენომენის ცხრა ნაირ-

სახეობა გამოყო [10, 47-60]. ყველა შემთხვევაში, დღემდე არსებული თეორიები ცდილობენ მკვეთრი ხაზი გაავლონ უკიდურეს ასიმილაციასა და სეგრეგაციას შორის. ერთი მხრივ, ზედმეტად დიდი განსხვავებულობა სოლიდარობასა და დემოკრატიულ მონაწილეობას რთულად განსახორციელებელს ხდის. მეორე მხრივ, კი სრული კულტურული ჰომოგენურობა მიუღწეველი მიზანია, თუნდაც კულტურულად ჰომოგენურ საზოგადოებაში, რამდენადაც ნებისმიერ კომპლექსურ საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებს რელიგიური სექტები და სექსუალური უმცირესობები.

მულტიკულტურალიზმის კონცეფციამ ბოლო 40 წლის განმავლობაში ბევრი მნიშვნელობა შეიძინა. 1970 წელს ბერიმ, კალინმა და ტეილორმა მულტიკულტურალიზმის სამი მნიშვნელობა განასხვავეს [11, 1].

პირველი, მულტიკულტურალიზმი არის დემოგრაფიული ფაქტი: მსოფლიოს უმეტესი საზოგადოება კულტურულად განსხვავებულია. მეორე, მულტიკულტურალიზმი იდეოლოგიაა: ინდივიდები და ჯგუფები ზოგად შეხედულებას ფლობენ კულტურული განსხვავებების მიღება-უარყოფასთან დაკავშირებით. მესამე, ზოგიერთი მთავრობები არტიკულირებენ საჯარო პოლიტიკებს და ავითარებენ პროგრამებს განსხვავებულების პატივისცემის ფორმით. ეს სამი მახასიათებელი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული [12, 45].

მულტიკულტურული იდეოლოგია განისაზღვრება, როგორც დივერსიფიკაციის დაფასება და კულტურული განსხვავებულობის მხარდაჭერა, რაც თანაბარ თანამონაწიელობას გულისხმობს. თუმცა, ზოგიერთ საზოგადოებაში მულტიკულტურალიზმს არასწორად აღიქვამენ და მიიჩნევენ ფენომენად, რომელიც აღიარებს ქვეყანაში სხვადასხვა კულტურული ჯგუფების მხოლოდ არსებობას. კულტურულ მრავალფეროვნებას – ინტერკულტურული ურთიერთობებისა და თანაბარი მონაწილეობის გარეშე აღიქვამენ.

მულტიკულტურალიზმის მხოლოდ კულტურულ მრავალფეროვნებად აღქმა ევროპული საზოგადოების უმეტესი ნაწილის აზროვნების საფუძველს წარმოადგენს (მაგალითად გერმანია, ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო).

მულტიკულტურალიზმი იდეოლოგიურ ჭრილში ემყარება ერთობლივ ღირებულებას, სწრაფვას კულტურული მხარდაჭერისკენ და თანაბარი მონაწილეობისკენ. მულტიკულტურული იდეოლოგიები განსხვავდება ქვეყნებისდა მიხედვით. მაგალითად, ოცდაშვიდი

ევროპული ქვეყნის მაჩვენებლის მიხედვით, შეთანხმება, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება ეროვნულ კულტურას ამდიდრებს 32-დან 86 პროცენტამდე, მერყეობს მალტადან შვედეთამდე. ამასთან, აზრი რომ პარლამენტში უფრო მეტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უნდა იყვნენ, 17-დან 66 პროცენტამდე მერყეობს, დაწყებული ბულგარეთითა და კვიპროსით, დამთავრებული საფრანგეთი-შვედეთით [13, 772, 789].

ბევრ ქვეყანას მულტიკულტურალიზმის პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს შემუშავებული. უმეტეს მათგანში ინტეგრაცია თამაშობს წამყვან როლს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამ პოლიტიკის ეფექტურობა თვალსაჩინო ხდება ეთნიკური ჯგუფების დასაქმების, წამყვან პოზიციებზე მუშაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის დროს. თუმცა ხშირ შემთხვევაში, დებატები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით პერმანენტულ სახეს იძენს. მაგალითად, ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო განხილვები საფრანგეთში, მუსლიმების მიერ ჰიჯაბის ტარებასთან დაკავშირებით. შედეგად პარლამენტმა ხმა მისცა ჰიჯაბის ტარების აკრძალვის კანონპროექტს, ასევე ქრისტიანული ჯვარისა და ებრაელების კიპას (კიპპას) ტარებას.

შეიძლება ითქვას, რომ მულტიკულტურალიზმმა და პლურალურობამ საკმაოდ ბევრი პრობლემა მოიტანა გლობალურ დონეზე და იმ ქვეყნებშიც, სადაც ეთნიკური უმცირესობების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია. გამოწვევების ძირითადი ნაწილი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ რასიზმის, დისკრიმინაციისა და სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოვლენას უკავშირდება, ეს განსაკუთრებით ე.წ. „ახალმოსულებისადმი“ არასამართლიან მოპყრობაში ვლინდება. მულტიკულტურალიზმის გამოწვევა სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში ხშირად აღიქმება იმ საზოგადოებებში სადაც, მაღალია სამუშაო ადგილზე კონკურენცია, რაც თავის მხრივ ეთნიკურ უმცირესობებს შორის სიღარიბის, უმუშევრობის დონის გაზრდას იწვევს. ეს ფენომენი ბრიტანეთის ცალკეულ ურბანულ ცენტრებში საკმაოდ თვალსაჩინოა, რაც ხშირად თეთრ და შავ ბრიტანელებს შორის დაპირისპირებასაც იწვევს. სწორედ ასეთ ადგილებში ხდება შემდეგ უფრო ადვილი, ესქტრემისტი ჯგუფების მიერ რიგების შევსება. ამან არა ერთხელ გამოიწვია ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში ექსტრემისტულ მუსლიმ ჯგუფებსა და ულტრა მემარჯვენე ფრთის ფაშისტი ინგლისური დაცვის ლიგის წევრებს შორის დაპირისპირება [14].

გარდა იმისა, რომ მულტიკულტურალიზმს სხავადსხვა გამოწვევები აქვს და ზოგიერთ ქვეყანაში არ არის სათანადოდ იმპლემენტირებული, რიგი მკვლევრების აზრით თავად ამ ფენომენის არსებობაც იწვევს კითხვებს. კერძოდ, არსებობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კულტურული ჯგუფები შესაძლოა იქნნენ აღიარებული. ამდენად, ზოგიერთი თეორეტიკოსი გამოხატავს მღელვარებას, რომ მულტიკულტურალიზმმა შესაძლოა კონკურენცია გამოიწვიოს იმ კულტურულ ჯგუფებს შორის, რომელთაც აღიარება სურთ. ამასთან დაკავშირებით მარქსისტები და ფემინისტები აპელირებენ, რომ მხოლოდ კულტურულ განსხვავებულობაზე აქცენტირებამ შესაძლოა უგულებელყოს ისეთი ჯგუფები, რომლებიც თავს უმცირესობად გრძნობენ, არა მხოლოდ კულტურის, არამედ კლასისა და სქესობრივი კუთვნილების გამო [15].

მელიდოროს შეხედულებით, კულტურული მრავალფეროვნება ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის ფარგლებში საფრთხედ აღიქმება, რამდენადაც უნდობლობა არსებობს უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკების მიმართ, განსაკუთრებით მუსლიმური ჯგუფების მიერ.

მულტიკულტურალიზმი პრობლემატური ხდება მაშინ, როდესაც კულტურული განსხვავებულობები ლიბერალური დემოკრატიების ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

პირველად მულტიკულტურალიზმის, როგორც იდეოლოგიის გაზრება კანადაში და ავსტრალიაში მოხდა. სწორედ ამ ქვეყნებში განვითარდა ეს ფენომენი თეორიულ დონეზე, რამაც იმ დასკვნამდე მიიყვანა მკვლევრები, რომ თუ კულტურული მრავალფეროვნება სათანადოდ არ არის გაანალიზებული, მას შეუძლია, როგორც კონცეპტუალურ, ისე პრაქტიკულ დონეზე სერიოზული პრობლემების შექმნა.

მულტიკულტურალიზმის მიერ შექმნილ გამოწვევებს შორის ზოგიერთი თეორეტიკოსი ასახელებს – ინდივიდის უგულებელყოფის ფაქტორს. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ჯგუფების თანასწორობაზე და არა პიროვნულ თანასწორობაზე. ამასთან აზრთა სხვადასხვაობა არსებობს სახელმწიფოს როლზე მულტიკულტურალიზმის განხორციელების პროცესში. ერთი ჯგუფი აცხადებს, რომ ზემოდან მომდინარე რეგულაციებმა შესაძლოა ნეგატიური ემოციები გამოიწვიოს დომინანტურ კულტურულ ჯგუფებში და აგრესიის გაძლიერებას შეუწყოს ხელი. თუმცა, როგორც მელიდორო აცხა-

დებს სახელმწიფოს, როგორც დამცველის როლი უმნიშვნელოვანესია მულტიკულტურულ საზოგადოებებში. მისი თქმით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ინდივიდების ფუნდამენტური უფლებები დაცული იყოს და „უმცირესობები არ დაიჩაგრონ უფრო ძლიერი ჯგუფების მიერ“ [16].

„მულტიკულტურალიზმს“ ორი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: პირველი არის ის, რასაც შესაძლოა ვუწოდოთ მრავალფეროვნების გამოცდილება, მეორე არის პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანიც გახლავთ მრავალფეროვნების მართვა.

ოცდაათი წლის წინ ბევრმა ევროპელმა დაინახა მულტიკულტურალიზმი – ყოვლისმომცველი, მრავალფეროვანი საზოგადოება – როგორც პასუხი ევროპულ სოციალურ პრობლემებზე. თუმცა დღეს, ასევე მზარდი რიცხვი პირიქით მიიჩნევს, რომ სწორედ მულტიკულტურალიზმის და მრავალფეროვანი საზოგადოების მიზეზია თანამედროვეობის ბევრი პრობლემა. ეს აღქმა გამოიწვია ზოგიერთი წამყვანი პოლიტიკოსის, მათ შორის ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის დევიდ კამერონისა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ღია განცხადებებმა. ისინი საჯაროდ უარყოფენ მულტიკულტურალიზმს და საუბრობენ მისგან მომდინარე საფრთხეებზე [17]. იგი „დადანაშაულებულია“ მემარჯვენე პარტიებისა და პოპულისტი პოლიტიკოსების ევროპის მასშტაბით გამრავლებაში, ისეთები როგორიც არის ნიდერლანდების თავისუფლების პარტია და საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი. ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში, მას ბრალად ედება უცენზურო აქტების ძალადობა, როგორიცაა ანდერს ბირრინ ბრეივიკის მიერ ნორვეგიის კუნძულ უტოიაში 2011 წლის ივლისში, მოწყობილი ტერაქტი და ახალი ზელანდიის მეჩეთებში ბრენტონ ტარანტის მიერ, 49 ადამიანის მკვლელობა 2019 წლის მარტში.

რამ გამოიწვია ეს ტრანსფორმაცია საინტერესოა. მულტიკულტურალიზმის კრიტიკოსების აზრით, ევროპამ დაუშვა გადაჭარბებული იმიგრაცია, რომელსაც საკმარისი ინტეგრაციის ხელშემწყობი პრინციპები არ ახლდა თან – შეუსაბამობა, რომელიც არღვევდა სოციალურ ინტეგრაციას, შეარყია ეროვნული იდენტობა და მოგვცა დეფორმირებული საზოგადოებრივი ნდობა. მულტიკულტურალიზმის მომხრეები [18], მეორეს მხრივ, ამტკიცებენ, რომ პრობლემა არა თუ მრავალფეროვნება, არამედ ძალიან დიდი რაოდენობით რასიზმია.

მულტიკულტურალიზმი როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი,

არა მხოლოდ მრავალფეროვნების საპასუხოდ ფუნქციონირებს, არამედ შეზღუდვების საშუალებებითაც. ეს განწყობა ცხადყოფს პარადოქსულ მხარეებს. მულტიკულტურული პოლიტიკა მიჩნეულია, როგორც საზოგადოებების მრავალფეროვანების წინაპირობა, მაგრამ ცხადია რომ ასეთი მრავალფეროვნება მთავრდება უმცირესობის თემების უფლებების კიდეებზე. ისინი ცდილობენ მრავალფეროვნების ინსტიტუციონალიზებას ხალხში ეთნიკური და კულტურული ჯგუფებიდან – სინგულარული, ერთგვაროვანი მუსლიმანური საზოგადოებისადმი – მათი მოთხოვნებისა და უფლებების შესაბამისად.

მულტიკულტურიზმის შესახებ არსებული დებატების მომხრეთა და კრიტიკოსთა დიდი ნაწილი აღიარებს იმას, რომ მასობრივმა იმიგრაციამ ევროპული საზოგადოებები შეცვალა და უფრო მრავალფეროვანი გახადა. გარკვეულწილად, ეს აშკარად ჩანს. დღეს, გერმანია არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული იმიგრანტების რაოდენობით და მათ მიმართ გატარებული პოლიტიკით, შეერთებული შტატების შემდეგ. 2011 წელს, დაახლოებით ათი მილიონი ადამიანი (ან უფრო მეტი), მოსახლეობის 12% დაიბადა საზღვარგარეთ. ავსტრიაში ეს მაჩვენებელი 16% იყო. შვედეთში ეს მაჩვენებელი 15% გახლავთ, საფრანგეთში და გაერთიანებულ სამეფოში დაახლოებით 12% [19]. ისტორიული პერსპექტივიდან და თანამედროვე კრიზისებიდან გამომდინარე ეს ქვეყნები დღეს ბევრად უფრო მრავლფეროვანი სოციუმით ხასიათდება და საზოგადოებაც მეტად ჭრელია, ვიდრე ოდესმე იყო. მეცხრამეტე საუკუნის ევროპული საზოგადოებები დღევანდელი თვალსაზრისით ერთგვაროვნად გამოიყურება.

თანამედროვე ევროპული საზოგადოებების აღწერისას ცალსახად იწერება, რომ ის უაღრესად მრავალფეროვანია, თუმცა მულტიკულტურალიზმს ბზარი გაუჩნდა დღევანდელი პილიტიკური და სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ გასული სამი ათწლეულის მანძილზე, ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო მულტიკულტურული პოლიტიკა, ან სცადა მულტიკულტურლი პილიტიკისთვის დამახასითებელი ზოგიერთი პრინციპის იმპლემენტაცია, მაგრამ ქვეყნებმა ეს გააკეთეს მკაფიო გზებით, რის შედეგებიც წლების შემდეგ გამომჟღავნდა.

ქენან მალიკის აზრით, ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითი ის არის, რომ მთავრობებმა მიიღეს

მულტიკულტურული პოლიტიკა, რათა უმცირესობების განსხვავებების განმტკიცება სურდათ. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ასიმილაციის შესახებ კითხვები პოლიტიკურ ელიტას ნამდვილად ჰქონდა, მათ არ გააჩნდათ მსგავსი ტიპის გამოცდილება ამ საკითხებთან მიმართებაში [20].

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში მთავრობებმა ვერ შეძლეს იდენტობის კომპლექსურობის, დრეკადობისა და სიჯიუტის აღიარება. მუსლიმანური თემის შესახებ დღეს ბევრს საუბრობენ ევროპაში წარმოქმნილ საჭიროებებზე, შეხედულებებსა, თუ მისწრაფებებზე. ევროპული ქვეყნები დღეს ახალი დილემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან. მათ მიერ შემუშავებული მულტიკულტურული პოლიტიკები, რომლებიც გარკვეულწილად თავის თავში ნაკლებ ინტეგრაციას მოიცავდა, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების მშვიდობიანი თანაარსებობის ნაცვლად კიდევ უფრო დაყო და დაანაწევრა დომინანტურ და მინორულ თემებად. ჩასულების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებში. გარკვეულწილად ეს ნაკლები კომუნიკაციითაც შეიძლება აიხსნას, ვინაიდან მიგრანტები ცალკე, მათთვის გამოყოფილ გარეუბნებში ცხოვრობენ, იქვე ღებულობენ განათლებას და სოციალური დახმარების მიღებაც ამავე დასახლებებთან ახლო მდებარე ბიუროებშია შესაძლებელი. ამის ნათელი მაგალითია შვედეთი, გერმანია, საფრანგეთი და შტატები.

ევროპული საზოგადოება, რომელიც ადრე დაყოფილი იყო მდიდართა და ღარიბთა, დიდებულთა და მდაბიოთა კლასებად, დღეს რასობრივად და კულტურულად დაყოფილ საზოგადოებას ასახავს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კი, კლასი ევროპაში, როგორც პოლიტიკური კატეგორია და სოციალური იდენტობის მაფორმირებელი მნიშვნელობით, შემცირდა. ამავდროულად, კულტურა გახდა უფრო მეტად ცენტრალიზებული საშუალება, რომლსაც ადამიანები სოციალურ განმასხვავებლად აღიქვამენ [21, 9]. ერთი მხრივ, ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები ეწინააღმდეგება მსგავსი ტიპის სეგრეგაციას, თუმცა თუ გადავხედავთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, აშკარაა მსგავსი ტენდენცია. ამ ფონზე ევროპაში მულტიკულტურული საზოგადოების წევრებს, შესაძლოა ითქვას, ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გარკვეული პრობლემები აქვთ, რომელიც პოლიტიკური დღის წესრიგით საჭირო რეგულაციების ნაკლებობას განიცდის. პრობლემები გარკვეულწილად მომდე-

ნარეობს ინტეგრაციის დაბალი დონის მაჩვენებლით და გარკვეული გაუცხოებით, რომელიც ძირითადი მოსახლეობიდან მოდის.

არსებული მთელი რიგი პოლიტიკური პრინციპების ან პოლიტიკური ფილოსოფიების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ მულტიკულტურალიზმი არის მრავალფეროვანი და მისი ფორმა განისაზღვრება პოლიტიკურ, სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში.

მიგრანტებმა და გასთარბაითერებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს ევროპის ქვეყნების სოციალური და კულტურული ცხოვრების რიტმში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში სენსიტიურ, ნაციონალისტურ განწყობებს აღვიძებს. ამან მოიტანა მემარჯვენე, ნეო-ნაციონალური პოლიტიკური პარტიების რიცხვის ზრდა და მათი ამომრჩეველთა რიცხვის პარალელური მატება. გარდა ამისა ცლილებები შეიმჩნევა თვითონ მოქალაქეების ინდივიდუალურ ქმედებებში, რომლებიც მწვავე რეაგირებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს. ამის ნათელი მაგალითია 2011 წლის ნორვეგიის და 2019 წლის ახალი ზელანდიის ტერაქტები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Eriksen T. H., Multiculturalism, individualism and human rights. In: Wilson, R. A. (Ed.), Human Rights, Culture and Context. Pluto, London, 1997.
2. Multiculturalism, the Canadian Encyclopedia, https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/multiculturalism.
3. Zizek S., In Defense of Lost Causes. Verso, London, 2008.
4. Taylor C., Multiculturalism and the Politics of Recognition. Princeton University Press, Princeton, NJ, 1992.
5. Furnivall J. H., Colonial Policy and Practice: A Comparative Study of Burma and the Netherlands India. Cambridge University Press, Cambridge, UK, 1948.
6. Smith, M. G., The Plural Society in the British West Indies. University of California Press, Berkeley, CA, 1965.
7. https://www.iep.utm.edu/multicul/.
8. Stuart H., Foucault: Power, knowledge and discourse, California, Sage in association with the Open University.
9. Vertovec S., The Multiculturalism Backlash; European Discourses,

Policies and Practices, 1st Edition; 2010.
10. Delanty G., Community, Social Science, 2003.
11. Berry, Kalin and Taylor, Multiculturalism and Ethnic Attitudes in Canada – ResearchGate, 1977, p.1
12. Berry, Kalin and Taylor, Multiculturalism and Ethnic Attitudes in Canada – ResearchGate, 1977.
13. Yogeeswaran, K., & Dasgupta, N. The devil is in the details: Abstract versus concrete construals of multiculturalism differentially impact intergroup relations. Journal of Personality and Social Psychology, 2014.
14. https://ndla.no/en/subjects/subject:23/topic:1:184990/resource:1:91578
15. Melidoro D., Multiculturalism. A small introduction, Luiss University Press, Rome, 2015.
16. Multiculturalism and the challenges of diversity; Luiss university of Rome; 18.09.2015, https://www.luiss.edu/news/2015/09/18/multiculturalism-and-challenges-diversit.
17. After Merkel, Cameron too says multiculturalism has failed, EURACTIV Network, Feb 7, 2011, https://www.euractiv.com/section/uk-europe/news/after-merkel-cameron-too-says-multiculturalism-has-failed/.
18. Malik K., Immigration and cultural loss, Pandaemonium, February 2018, https://kenanmalik.com/2018/02/04/immigration-and-cultural-loss/.
19. VASILEVA K., Population and social conditions, eurostat, European Union, 2011, https://ec.europa.eu/eurostat/documents/3433488/ 5579176/KS-SF-11-034-EN.PDF/63cebff3-f7ac-4ca6-ab33-4e8792c5f30c.
20. Malik K., The Failure of Multiculturalism, Community Versus Society in Europe, Pandaemonium, February 2015, https://kenanmalik.com/2015/02/17/the-failure-of-multiculturalism/.
21. Michael J., Cuyjet, Mary F., Howard-Hamilton, Diane L. Cooper, Multiculturalism on Campus: Theory, Models, and Practices for Understanding And Creting inclusion, Stylus Publishing, LLC. 2012.

Maia Kiknavelidze
Georgian Technical University, Doctor of International Relations

Notion, Sense and Problems of Multiculturalism

Summary

The work consists of the introduction, the main part and the conclusion. Throughout history, movement of the people created pluralistic societies. Migration of refugees in Western countries has led to the development of multiculturalism as an ideology. This is a complex issue that has a lot of different aspects.

Multiculturalism as ideology is quite new. As a political instrument, it was developed in Canada in 1970.

The term "multiculturalism" is not only used to describe a culturally diverse society, but at the same time it deals with a policy aimed at protecting cultural diversity.

In the wake of a number of political principles or political philosophies, multiculturalism is diverse and its form is defined in the political, social and historical context that brought many problems and activated the right wing political parties around the world